## ს.ს. "უნივერსალური სამედიცინო ცენტრი"

დაფინანსების წყარო
საკუთარი
შემოსავლები

# ფარმაცევტული პროდუქტების შესყიდვა

(CPV 33661000)

ერთეტაპიანი
ელექტრონული ტენდერის

ს ა ტ ე ნ დ ე რ ო  დ ო კ უ მ ე ნ ტ ა ც ი ა

თბილისი 2017წელი

შენიშვნა:
1. სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო მოცემულია ვებ-გვერდზე: www.procurement.gov.ge
2. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში „ბრძანება“) მოცემულია ვებ-გვერდზე:www.procurement.gov.ge

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. დამატებითი ინფორმაცია ........................................................................................................ 4

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები ........................................................................................................5

3. ერთიან ელექტრონულ სისტემაში წარმოსადგენი ინფორმაცია.......................................................6

4. ტექნიკური დავალება.........................................................................................................................7

5. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი........................................................10

6. დანართი N1.........................................................................................................................................13

7. დანართი N2, ფასების ცხრილი..........................................................................................................14

## დამატებითი ინფორმაცია

1. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება;
2. სატენდერო წინადედების ღირებულება უნდა მოიცავდეს ამ ტენდერით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტისა და მის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და კანონით გათვალისწინებულ გადასახადებს. ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას.
3. სატენდერო წინადადების ღირებულება წარმოდგენილი უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში.
4. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.
5. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 60 კალენდარული დღის განმავლობაში.
6. მისაწოდებელი შესყიდვის ობიექტის ღირებულების დაფარვა მოხდება ტენდერში გამარჯვებულ პირსა და ს.ს. "უნივერსალური სამედიცინო ცენტრს" შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად, რომელიც დაზუსტდება გამარჯვებულ პრეტენდენტთან.
7. „ბრძანების" მე-2-ე მუხლის პირველი პუნქტის კ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტატუსის მინიჭებიდან ამავე მუხლის მ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭებამდე, არაუგვიანეს 24 საათისა, ნებისმიერ მიმწოდებელს უფლება აქვს, სისტემის მოდულის-„კითხვა/პასუხის" მეშვეობით მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის დაზუსტება.
8. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია „ბრძანების" მე-2 მუხლის პირველი პუნქტის მ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტატუსის მინიჭებამდე, გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 2 საათისა ტენდერში წინადადების მიღების დასრულებამდე, სისტემის მოდულის შესაბამისი „კითხვა/პასუხის" მეშვეობით გააკეთოს შესაბამისი დაზუსტება/განმარტება, რითაც შეიძლება იხელმძღვანელოს დაინტერესებულმა პირმა.
9. პრეტენდენტის მიერ დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაციისა და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხდება სისტემის მეშვეობით. საკვალიფიკაციო მონაცემების დედანის წარმოდგენის ვალდებულება პრეტენდენტს წარმოეშვება ხელშეკრულების ხელისმოწერის მომენტისთვის შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.
10. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირებისაგან: სატენდერო კომისიის თავმჯდომარეს მოვალეობის შემსრულებებლი: მიხეილ გოგოძე, ს.ს. "უნივერსალური სამედიცინო ცენტრი", (მისამართი: ლისის ტბის მიმდებარე #4), ტელფონი: 218 02 72, მობ: 599 94 79 09, e-mail: mikheil.gogodze@unmc.ge.

## საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. *საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები* (არარეზიდენტმა პირებმა პირველ პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანის სახით - ლეგალიზებული ფორმა.)*:*
   1.1. იურიდიული პირისათვის:
   1.1.1ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან. (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
   1.1.2ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე (მასზე რეგისტრირებული ქონების არსებობის შემთხვევაში) საჯარო სამართლებრივი შეზღუდვis არარსებობის შესახებ; (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);
   1.1.3ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ არ მიმდინარეობს იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.
   1.2. ფიზიკური პირისათვის:
   1.2.1. ცნობა სათანადო დაწესებულებიდან, რომ არ მიმდინარეობს მის მიმართ გადახდისუუნარობის/ გაკოტრების საქმის წარმოება.
2. *ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს:*
   2.1 გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში – „სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებით განხორციელების შესახებ დროებითი წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის (ტენდერი გამოცხადებულია) დაწყების შემდეგ, ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში – საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს „სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებით განხორციელების შესახებ დროებითი წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის (ტენდერი გამოცხადებულია) დაწყებამდე არაუგვიანეს ოცდაათი დღისა.
   2.2 ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში – „სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებით განხორციელების შესახებ დროებითი წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის (წინადადების მიღება დაწყებულია) დაწყების შემდეგ, ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში –საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს „სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებით განხორციელების შესახებ დროებითი წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის (წინადადების მიღება დაწყებულია) დაწყებამდე არაუგვიანეს ოცდაათი დღისა.
3. *ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები, წარმოდგენილ უნდა იქნეს შემსყიდველ ორგანიზაციაში მოთხოვნიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში. არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.*
4. *პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხორციელდება ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისია მოახდენს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.*

## ერთიანელექტრონულ სისტემაშიწარმოსადგენიინფორმაცია

პრეტენდენტებმა წინადადების მოწოდების ეტაპზე უნდა წარმოადგინონ:

1. რეკვიზიტები, სატენდერო წინადადების ფასი დანართი #1-ის მიხედვით;
2. შესყიდვის ობიექტის ფასების ცხრილი, დეტალური მახასიათებლები დანართი N2-ის მიხედვით;

*შენიშვნა:*

*შემსყიდველის და პრეტენდენტის მიერ, ტენდერის ფარგლებში წარმოდგენილი ნებისმიერი დოკუმენი უნდა იყოს ქართულ ენაზე ან კანონით გათვალისწინებული წესით თარგმანის თანხლებით.*

# ტექნიკური დავალება

| CPV | # | ჯგუფი | გენერიული დასახელება | NUM | ფორმა | დოზირება | რ-ზა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 33600000 | 1 | ადამიანის ალბუმინის პრეპარატები | ალბუმინი | 1 | ფლაკონი | 20% - 100მლ | 400 |
| 33621000 | 2 | ადამიანის ალბუმინის პრეპარატები | ალბუმინი | 1 | ფლაკონი | 20%- 50მლ | 200 |
| 33600000 | 3 | მიოტროპული სპაზმოლიზური საშუალებები | პაპავერინი | 10 | ამპულა | 2% -2მლ | 500 |
| 33661100 | 4 | პერიფერიული მოქმედების მიორელაქსანტები | პიპეკურონიუმის ბრომიდი | 25 | ფლაკონი | 4მგ/2მლ | 1250 |
| 33632200 | 5 | ანტისეპტიკური საშუალებები. | პოვიდონ-იოდინი | 14 | სუპოზიტორია | 200მგ | 280 |
| 33631600 | 6 | ანტისეპტიკური საშუალებები. | პოვიდონ-იოდინი | 1 | ფლაკონი | 10%-1000მლ | 200 |
| 33661100 | 7 | საანესთეზიო  საშუალებები | პროპოფოლი | 5 | ფლაკონი | 1%- 20მლ | 2000 |
| 33621200 | 8 | ჰისტამინური H2- რეცეპტორების ბლოკატორები | რანიტიდინი | 5 | ამპულა | 50მგ/2მლ | 10000 |
| 33600000 | 9 | მუცლის ღრუს ამოსარეცხი საშუალება | სორბიტოლი | 1 | ფლაკონი | 5-ლიტ. | 120 |
| 33621200 | 10 | გასტროპროტექტორები | სუკრალფატი | 50 | ტაბლეტი | 1გ | 300 |
| 33661100 | 11 | პერიფერიული მოქმედების მიორელაქსანტები | სუქსამეთონიუმის ქლორიდი | 10 | ამპულა | 2% -5მლ | 2500 |
| 33621200 | 12 | ანტიჰემორაგიული და ჰემოსტატიური საშუალებები | ტრანექსამის მჟავა | 5 | ამპულა | 100მგ/მლ -5მლ | 500 |
| 33622300 | 13 | დიურეზული საშუალება | ფუროსემიდი | 10 | ამპულა | 1% -2მლ | 2500 |
| 33651100 | 14 | ანტიბაქტერიული საშუალებები | ცეფოპერაზონი | 1 | ფლაკონი | 1გ | 50 |
| 33651100 | 15 | ანტიბაქტერიული საშუალებები | ციპროფლოქსაცინი | 5 | ამპულა | 100მგ/10მლ | 500 |
| 33661500 | 16 | ნეიროლეფსიური საშუალება | ჰალოპერიდოლი | 5 | ამპულა | 5მგ-1მლ | 750 |
| 33661500 | 17 | ნეიროლეფსიური საშუალება | ჰალოპერიდოლი | 50 | ტაბლეტი | 5მგ | 1200 |
| 33661100 | 18 | სანარკოზე საშუალებები. | ჰალოტანი | 1 | ფლაკონი | 250მლ | 100 |
| 33600000 | 19 | სომატოსტატინის ანალოგები. | ოქტრეოტიდი | 1 | ამპულა | 100მკგ/მლ | 100 |
| 33600000 | 20 | ფერმენტული საშუალებები | პანკრეატინი | 20 | ტაბლეტი | 3500ერთ | 10000 |
| 33661100 | 21 | ადგილობრივი საანესთეზიო საშუალებები | პროკაინის ჰიდროქლორიდი | 1 | ფლაკონი | 0.5% -200მლ | 150 |
| 33622600 | 22 | ბეტა1, ბეტა2-ადრენომაბლოკირებელი საშუალება | პროპრანოლოლი | 50 | ტაბლეტი | 0.01გ | 1000 |
| 33661100 | 23 | ადგილობრივი საანესთეზიო საშუალებები | როპივაკაინი | 5 | ამპულა | 10მგ/მლ -10მლ | 400 |
| 33600000 | 24 | გამხსნელი, წამლების საინექციო ფორმების მოსამზადებლად. | საინიექციო წყალი | 10 | ამპულა | 2მლ | 3000 |
| 33674000 | 25 | ბრონქოლიზური საშუალებები. | სალბუტამოლის აეროზოლი | 1 | ფლაკონი | 200დ/10მლ | 10 |
| 33642200 | 26 | გლუკოკორტიკოიდები | მეთილპრედნიზოლონი | 1 | ფლაკონი | 500მგ+გამხსნ. | 5 |
| 33600000 | 27 | ალფა-ადრენომიმეტური საშუალება | ფენილეფრინის ჰიდროქლორიდი | 10 | ამპულა | 1% -1მლ | 1000 |
| 33600000 | 28 | სოკოს საწინააღმდეგო საშუალებები | ფლუკონაზოლი | 1 | ფლაკონი | 200მგ/100მლ | 30 |
| 33651100 | 29 | ანტიბაქტერიული საშუალებები | ქლორამფენიკოლი მალამო | 1 | ტუბი | 10% -25გ | 100 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 33651100 | 30 | ანტიბაქტერიული საშუალებები | ქლორამფენიკოლი მალამო+მეთილურაცილი | 1 | ტუბი | 40გ | 250 |
| 33675000 | 31 | ჰისტამინური H1-რეცეპტორების ბლოკატორები | ქლოროპირამინი | 10 | ამპულა | 2% - 1მლ | 1500 |
| 33651100 | 32 | ანტიბაქტერიული საშუალებები | ციპროფლოქსაცინი | 1 | ფლაკონი | 200მგ/100მლ | 100 |
| 33651100 | 33 | ანტიბაქტერიული საშუალებები | ციპროფლოქსაცინი | 50 | ტაბლეტი | 500მგ | 500 |
| 33631600 | 34 | ანტისეპტიკური საშუალებები. | წყალბადის ზეჟანგი | 1 | ფლაკონი | 3% -100მლ | 2000 |
| 33600000 | 35 | ჰეპატოპროტექტორები | ორნიტინი | 1 | ამპულა | 10მგ/20მლ | 300 |
| 33621300 | 36 | ანტიანემიური ჯგუფი | რკინის (III) ჰიდროქსიდი+ პოლიმალთოზა (კუნთის) | 10 | ამპულა | 100მგ/2მლ | 200 |
| 33622200 | 37 | ანტიჰიპერტენზიული საშუალებები | კაპტოპრილი | 20 | ტაბლეტი | 50მგ | 2000 |
| 33612000 | 38 | კუჭ-ნაწლავის ტონუსსა და მოტორიკაზე მოქმედი საშუალება | პლატიფილინის ჰიდროტარტრატი | 10 | ამპულა | 0.2%-1მლ | 100 |
| | | | **სავარაუდო ფასი** | | | **131,760 Lari** | |

1. წინადადადების მოწოდება დასაშვებია როგორც საბოლოო ერტეულებში (ამპულა, ტაბლეტი, და ა.შ.) ასევე ალტერნატიული შეფუთვებით (მოთხოვნილი რაოდენობის შემოთავაზებული შეფუთვების "ნუმერუსებზე" გაყოფით).

2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდიში (შემსყიდველის მოთხოვნიდან -2 სამუშაო დღის განმავლობაში). შესყიდვის ობიექტის მიწოდების მოთხოვნის წამოყენება შესაძლებელია ხელშეკრულების გაფორმებიდან -2017 წლის 27 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში.

3. შესყიდვის ობიექტის ვარგისიანობის ვადა (ასეთის არსებობისას), უნდა შეადგენდეს მწარმოებლის მიერ დეკლარირებული სრული ვარგისიანობის ვადის არანაკლებ 70 პროცენტს;

4. შერჩევა-შეფასების ეტაპზე, შემსყიდველის მხრიდან შესაბამისი მოთხოვნის წამოყენების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია არაუგვიანეს "გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის # 9 ბრძანების მე-12 მუხლის მე-12 პუნქტით დადგენილი ვადებისა წარმოადგინოს შესყიდვის ობიექტის შესაბამისი ნიმუშები.

5. შერჩევა-შეფასების ეტაპზე, შემსყიდველის მხრიდან შესაბამისი მოთხოვნის წამოყენების შემთხვევაში პრეტენდენტი ვალდებულია, სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალების მედიკამენტების ჩამონათვალის და ფასების ცხრილის (დანრთი #2-ის) მე-7 და მე-8 პოზიციების მიხედვით მოთხოვნილ მედიკამენტებზე წარმოადგინოს საქარტველოს მთავრობის 22.10.2009 წლის #188 დადგენილების დანართში მითითებული ქვეყნების ფარმაცევტული პროდუქტების მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოების მიერ გაცემული სარეგისტრაციო მოწმობა, ან ამავე ორგანოების მიერ გაცემული ფარმაცევტული პროდუქტის სერტიფიკატი (CPP). წარმოსადგენია ქართულ ენაზე, ან კანონით გათვალისწინებული წესით თარგმანის თანმხლებიით.

6. შესყიდვის ობიექტის ნიმუშების არადამაკმაყოფილებელი ხარისხის კომისიური წესით დადგენის შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას, შესაბამის დასკვნის და ოქმის საფუძველზე მოახდინოს პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია სტატუსით: "დისკვალიფიკაცია სატენდერო დოკუმენტაციის გამო".

7. ტენდერის თავისებურებიდან გამომდინარე (ითვალისწინებს რა სატენდერო კომისია, რომ შემოთავაზების კომპონენტები, სრულად ან ნაწილობრივად შესაძლოა წარმოადგენდნენ საიმპორტო პროდუქტს და მათი შიდასაბაზრო ფასი პირდაპირდამოკიდებული იყოს სავალიუტო კურსზე, ასევე იმ ფაქტს, რომ ლარის კურსი არის არასტაბილური და რთულად პროგნოზირებადი, ასევე სხვა ობიეტური გარემოებების გათვალისწინებით) "გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის # 9 ბრძანების მე-9 მუხლის $1^{1}$ პუნქტის თანახმად შემსყიდველი უფლებამოსილია სატენდერო დოკუმენტაციაში არ გაითვალისწინოს ამავე ბრძანების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების ვალდებულება.

*წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახემწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან. პირობების დაზუსტება მოხდება პრედენდენტთან სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი*

**ხელშეკრულება # ET-----------------**
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**
**ელექტრონული ტენდერის საშუალებით**
**CPV- ---------------**

ქ. თბილისი --------------- 2017წ.

**1. ხელშეკრულების დამდები მხარეები**

1.1. ხელშეკრულების მხარეები არიან: ერთის მხრივ, ს.ს. **„უნივერსალური სამედიცინო ცენტრი“** (შემდგომში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი დირექტორის მამუკა მახათაძის სახით, და მეორეს მხრივ, შპს **„---------------„** (შემდგომში - „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის ------------------------- სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“.

**2. ხელშეკრულების საგანი**

2.1. შემსყიდველმა განახორციელა შესყიდვა ელექტრონული ტენდერის (**SPA**-------------) საშუალებით ---------------------- ლარის ფარგლებში საკუთარი შემოსავლებით ---------------------- (CPV---------------------) (შემდგომში - "საქონლის") შესყიდვაზე. რაზედაც მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი -------------------- ლარად.

2.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული „საქონლის“ დასახელება, რაოდენობა და ღირებულება მოცემულია დანართში №1, რომელიც შეადგენს ამ ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.

**3. შესყიდვის ობიექტი**

3.1. შესყიდვის ობიექტია დანართში აღწერილი ------------------------ შესყიდვა.

3.2. მოსაწოდებელი „საქონელი“ შეფუთული უნდა იყოს შესაბამისი ნორმების დაცვით.

3.3. მიმწოდებელი პასუხისმგებელია შემსყიდველის წინაშე „საქონლის“ ნებისმიერი სახის დაზიანების შემთხვევაში, რომელიც გამოწვეული იქნება არასწორი შეფუთვით.

3.4 მოსაწოდებელი საქონლის ვარგისიანობის ვადა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), უნდა შეადგენდეს არანაკლებ მწარმოებლის მიერ დადეკლარირებული სრული ვარგისიანობის ვადის 70 პროცენტს.

**4. ხელშეკრულების საერთო ღირებულება**

4.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრება ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის მომენტამდე გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტებში მითითებული ღირებულებების ერთობლიობით, არაუმეტეს _______________ ლარისა.

**5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

5.1. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს და ზედამხედველობას შემსყიდველის მხრიდან, განახორციელებს სპეციალურად შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი ან/და უფლებამოსილი პირი.

5.2. ინსპექტირების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა ფინანსური ხარჯი და საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტა ეკისრება შემსყიდველს.

5.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული „საქონელი“, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების (ზეპირი, ან წერილობითი) მიღებიდან 2 (ორი) დღეში გამოასწოროს წუნი.

**6. საქონლის მიწოდების პირობები**

6.1. "საქონლის" მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, შემსყიდველის მიერ გამოწერილი მომართვის ფორმის საფუძველზე შემსყიდველის მომართვისთანავე მიმწოდებლის სატენდერო

წინადადების შესაბამისად, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლისის ტბის მიმდებარედ #4.

6.2. "საქონლის" მიწოდება განხორციელდება 2017 წლის 31 დეკემბერის ჩათვლით.

6.3. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს "საქონლის" მოწოდება შესაბამისი ნორმების დაცვით.

**7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

7.1. შემსყიდველის მიერ "საქონლის" მიღება წარმოებს ეტაპობრივად. "საქონლის" მიწოდების ყოველი ეტაპის დასრულების შემდგომ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

7.2. მიღება-ჩაბარების თითოეული ეტაპის წინ განხორციელდება მოწოდებული "საქონლის" საბოლოო შემოწმება, რომელსაც განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სპეციალურად შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი ან/და უფლებამოსილი პირი.

**8. ანგარიშსწორება**

8.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე "საქონლის" მიწოდების შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღისა.

**9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

9.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლის მიერ თავისი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო.

9.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული "საქონლის" ღირებულების დროული გადარიცხვა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

9.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს "საქონლის" ღირებულების დროული გადარიცხვა მის საბანკო ანგარიშზე.

9.4. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს დროულად მიაწოდოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო „საქონელი“. „საქონელი“ ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეთანხმებული ხარისხისაა. თუ ხარისხი არ არის წინასწარ შეთანხმებული, მაშინ „საქონელი“ უნაკლოდ ჩაითვლება, თუკი იგი ვარგისია ჩვეულებრივი სარგებლობისათვის. „საქონელი“ უფლებრივად უნაკლოა, თუ მესამე პირს არ შეუძლია განუცხადოს შემსყიდველს პრეტენზია თავისი უფლებების გამო.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული "საქონლის" მოცულობა სავარაუდოა, ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პერიოდისათვის შემსყიდველი არ იღებს ვალდებულებას შეისყიდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული "საქონელი" სრული მოცულობით.

**10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის**

10.1. ხელშეკრულების შესრულებაზე ცალმხრივად უარის თქმის შემთხვევაში, მიმწოდებელი უხდის შემსყიდველს ჯარიმის სახით ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს.

10.2. "საქონლის" მიწოდებისთვის განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

10.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლო ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.5 ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს უფლება აქვს მოითხოვოს, ხოლო ამ შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ს ოდენობით.

**11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა, ფასები და მოქმედების ვადა**

11.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.3. ფასების ცვლილება დასაშვებია შემსყიდველის თანხმობის შემთხვევაში, რაც განპირობებული უნდა იყოს ეროვნული ვალუტის ინფლაციის მაღალი დონით (არანაკლებ 10%-ით), საგადასახადო რეჟიმის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილებითა (არანაკლებ 10%-ით) და სხვა.

11.4. ხელშეკრულების ფასის გაზრდა არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 5%-ს.

11.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობით ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ხელმოწერილი იქნება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ და ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11.6 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

## 12. ფორს-მაჟორული გარემოებები

12.1. მხარეები თავისუფლდებიან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ დამტკიცდა, რომ ვალდებულების შეუსრულებლობა განპირობებული იყო დაუძლეველი ძალის ანუ კონკრეტულ პირობებში (სტიქიიური უბედურება, ეპიდემია, ომი, საზოგადოებრივი არეულობა და ა.შ.) საგანგებო და გარდაუვალი მოქმედებით.

12.2. ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).

12.3. მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ-კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდეც გონივრულ ვადებში.

12.4 ფორსმაჟორული გარემოებების 15 დღეზე მეტხანს გაგრძელების შემთხვევაში, შემსყიდველს ფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

## 13. სხვა პირობები

13.1 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალია მქონე 2 ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემათ მხარეებს.

13.2 მხარეთა შორის წამოჭრილი დავები წყდება მხარეთა ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 14. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“
ს.ს. “უნივერსალური სამედიცინო ცენტრი“
მის: ქ. თბილისი, ლისის ტბის მიმდებარედ #4
ს/კ 405001466
ბანკი: ს.ს. „თი ბი სი ბანკი“
ანგარიში: GE95TB7795436020100004
ბანკის კოდი: TBCBGE22

დირექტორი

------------------------
მამუკა მახათაძე

„მიმწოდებელი“
შპს „ -------------------"
მის: --------------------------------------
ს/კ ---------------------------------------
ბანკი: -----------------------------------
ბანკის კოდი: ----------------------------
ანგარიში: -------------------------------

დირექტორი

-----------------------
------------------------

დანართი N1

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

მომსახურე ბანკი:

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომერი:

სატენდერო წინადადების ფასი ______________________________________________

სატენდერო წინადადება ძალაშია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წინადადებების მიღების დაწყების თარიღიდან ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“, „რ“ ან „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.

ხელის მოწერა და ბეჭედი ______________________________________________

(მიმწოდებლის უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი)

დანართი N2

# ფასების ცხრილი

| CPV | # | ჯგუფი | გენერიული დასახელება | NUM | ფორმა | დოზირება | რ-ბა | ერთ. ფასი | სულ ფასი | ბრენდი | ქვეყანა | მიწოდების ვადა | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 33600000 | 1 | ადამიანის ალბუმინის პრეპარატები | ალბუმინი | 1 | ფლაკონი | 20% - 100მლ | 400 | | | | | ხელშეკრულების გაფორმებიდან (2 სამუშაო დღეში) -2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით | ს.ს. "უნივერსალური სამედიცინო ცენტრი" ქ. თბილისი, ლისის ტბის მიმდებარედ #4 |
| 33621000 | 2 | ადამიანის ალბუმინის პრეპარატები | ალბუმინი | 1 | ფლაკონი | 20%- 50მლ | 200 | | | | | | |
| 33600000 | 3 | მიოტროპული სპაზმოლიზური საშუალებები | პაპავერინი | 10 | ამპულა | 2% -2მლ | 500 | | | | | | |
| 33661100 | 4 | პერიფერიული მოქმედების მიორელაქსანტები | პიპეკურონიუმის ბრომიდი | 25 | ფლაკონი | 4მგ/2მლ | 1250 | | | | | | |
| 33632200 | 5 | ანტისეპტიკური საშუალებები. | პოვიდონ-იოდინი | 14 | სუპოზიტორია | 200მგ | 280 | | | | | | |
| 33631600 | 6 | ანტისეპტიკური საშუალებები. | პოვიდონ-იოდინი | 1 | ფლაკონი | 10%-1000მლ | 200 | | | | | | |
| 33661100 | 7 | საანესთეზიო საშუალებები | პროპოფოლი | 5 | ფლაკონი | 1%- 20მლ | 2000 | | | | | | |
| 33621200 | 8 | ჰისტამინური H2- რეცეპტორების ბლოკატორები | რანიტიდინი | 5 | ამპულა | 50მგ/2მლ | 10000 | | | | | | |
| 33600000 | 9 | მუცლის ღრუს ამოსარეცხი საშუალება | სორბიტოლი | 1 | ფლაკონი | 5-ლიტ. | 120 | | | | | | |
| 33621200 | 10 | გასტროპროტექტორები | სუკრალფატი | 50 | ტაბლეტი | 1გ | 300 | | | | | | |
| 33661100 | 11 | პერიფერიული მოქმედების მიორელაქსანტები | სუქსამეთონიუმის ქლორიდი | 10 | ამპულა | 2% -5მლ | 2500 | | | | | | |
| 33621200 | 12 | ანტიჰემორაგიული და ჰემოსტატიური საშუალებები | ტრანექსამის მჟავა | 5 | ამპულა | 100მგ/მლ -5მლ | 500 | | | | | | |
| 33622300 | 13 | დიურეზული საშუალება | ფუროსემიდი | 10 | ამპულა | 1% -2მლ | 2500 | | | | | | |
| 33651100 | 14 | ანტიბაქტერიული საშუალებები | ცეფოპერაზონი | 1 | ფლაკონი | 1გ | 50 | | | | | | |
| 33651100 | 15 | ანტიბაქტერიული საშუალებები | ციპროფლოქსაცინი | 5 | ამპულა | 100მგ/10მლ | 500 | | | | | | |
| 33661500 | 16 | ნეიროლეფსიური საშუალება | ჰალოპერიდოლი | 5 | ამპულა | 5მგ-1მლ | 750 | | | | | | |
| 33661500 | 17 | ნეიროლეფსიური საშუალება | ჰალოპერიდოლი | 50 | ტაბლეტი | 5მგ | 1200 | | | | | | |
| 33661100 | 18 | სანარკოზე საშუალებები. | ჰალოტანი | 1 | ფლაკონი | 250მლ | 100 | | | | | | |
| 33600000 | 19 | სომატოსტატინის ანალოგები. | ოქტრეოტიდი | 1 | ამპულა | 100მკგ/მლ | 100 | | | | | | |
| 33600000 | 20 | ფერმენტული საშუალებები | პანკრეატინი | 20 | ტაბლეტი | 3500ერთ | 10000 | | | | | | |
| 33661100 | 21 | ადგილობრივი საანესთეზიო საშუალებები | პროკაინის ჰიდროქლორიდი | 1 | ფლაკონი | 0.5% -200მლ | 150 | | | | | | |
| 33622600 | 22 | ბეტა1, ბეტა2-ადრენომაბლოკირებელი საშუალება | პროპრანოლოლი | 50 | ტაბლეტი | 0.01გ | 1000 | | | | | | |
| 33661100 | 23 | ადგილობრივი საანესთეზიო საშუალებები | როპივაკაინი | 5 | ამპულა | 10მგ/მლ -10მლ | 400 | | | | | | |
| 33600000 | 24 | გამხსნელი, წამლების საინექციო ფორმების მოსამზადებლად. | საინიექციო წყალი | 10 | ამპულა | 2მლ | 3000 | | | | | | |

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 33674000 | 25 | ბრონქოლიზური საშუალებები. | სალბუტამოლის აეროზოლი | 1 | ფლაკონი | 200დ/10მლ | 10 | | | | | ხელშეკრულების გაფორმებიდან (2 სამუშაო დღეში) -2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით | ს.ს. "უნივერსალური სამედიცინო ცენტრი" ქ. თბილისი, ლისის ტბის მიმდებარედ #4 |
| 33642200 | 26 | გლუკოკორტიკოიდები | მეთილპრედნიზოლონი | 1 | ფლაკონი | 500მგ+გამხსნ. | 5 | | | | | | |
| 33600000 | 27 | ალფა-ადრენომიმეტური საშუალება | ფენილეფრინის ჰიდროქლორიდი | 10 | ამპულა | 1% -1მლ | 1000 | | | | | | |
| 33600000 | 28 | სოკოს საწინააღმდეგო საშუალებები | ფლუკონაზოლი | 1 | ფლაკონი | 200მგ/100მლ | 30 | | | | | | |
| 33651100 | 29 | ანტიბაქტერიული საშუალებები | ქლორამფენიკოლი მალამო | 1 | ტუბი | 10% -25გ | 100 | | | | | | |
| 33651100 | 30 | ანტიბაქტერიული საშუალებები | ქლორამფენიკოლი მალამო+მეთილურაცილი | 1 | ტუბი | 40გ | 250 | | | | | | |
| 33675000 | 31 | ჰისტამინური H1-რეცეპტორების ბლოკატორები | ქლოროპირამინი | 10 | ამპულა | 2% - 1მლ | 1500 | | | | | | |
| 33651100 | 32 | ანტიბაქტერიული საშუალებები | ციპროფლოქსაცინი | 1 | ფლაკონი | 200მგ/100მლ | 100 | | | | | | |
| 33651100 | 33 | ანტიბაქტერიული საშუალებები | ციპროფლოქსაცინი | 50 | ტაბლეტი | 500მგ | 500 | | | | | | |
| 33631600 | 34 | ანტისეპტიკური საშუალებები. | წყალბადის ზეჟანგი | 1 | ფლაკონი | 3% -100მლ | 2000 | | | | | | |
| 33600000 | 35 | ჰეპატოპროტექტორები | ორნიტინი | 1 | ამპულა | 10მგ/20მლ | 300 | | | | | | |
| 33621300 | 36 | ანტიანემიური ჯგუფი | რკინის (III) ჰიდროქსიდი+ პოლიმალთოზა (კუნთის) | 10 | ამპულა | 100მგ/2მლ | 200 | | | | | | |
| 33622200 | 37 | ანტიჰიპერტენზიული საშუალებები | კაპტოპრილი | 20 | ტაბლეტი | 50მგ | 2000 | | | | | | |
| 33612000 | 38 | კუჭ-ნაწლავის ტონუსსა და მოტორიკაზე მოქმედი საშუალება | პლატიფილინის ჰიდროტარტრატი | 10 | ამპულა | 0.2%-1მლ | 100 | | | | | | |

მომწოდებლის დასახელება_________________

ხელმოწერა/ბეჭედი _________________

პასუხისმგებელი პირის გვარი სახელი